პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

სიდა
ჩვენ ● ვაკავშირებთ

G-PAM
ინდივიდუალური დახმარება
ქართველ მიგრანტებს

www.migrant.ge | fb.com/migrant.ge | იანვარი 2015 წ.

ბიულეტენი#6

საბერძნეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_gr | თურქეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_tr | საქართველოს სკაიპის ცხელი ხაზი migrant_ge

მისალმება

პატივცემულო მკითხველო, მოგესალმებით G-PAM პროექტის გუნდის სახელით. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“, 2013 წლის მაისიდან, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM). წინამდებარე ბიულეტენის თემაა „G-PAM პროექტის საკონსულტაციო სივრცე“, რომელიც წარმოადგენს პროექტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. საკონსულტაციო სივრცის მიმოხილვასთან ერთად, წარმოგიდგენთ რამოდენიმე ისტორიას, ამონარიდს კონსულტაციებიდან, რომელიც უფრო კარგად დაგვანახებს აღნიშნული კომპონენტის ეფექტიანობას და მნიშვნელობის დონეს.

G-PAM პროექტის საკონსულტაციო სივრცე

არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით უკვე მეორე წელია ახორციელებს პროექტს: „ინდივიდუალური მხარდაჭერა ქართველ მიგრანტებს G-PAM“, რომელიც საქართველოსთან ერთად ხორციელდება საბერძნეთსა და თურქეთში სიდა-ს პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით.

G-PAM პროექტის ზოგადი მიზანია მიგრაციული ნაკადების უკეთესად მართვაში საქართველოსთვის დახმარების გაწევა. ამ მიზნის მისაღწევად პროექტის საქმიანეობები ძირითადი სამი მიმართულებით წარმოებს: 1) ქართველი მიგრანტების უფლებების დაცვა; 2) ქართველების კარგად მართული ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა თურქეთსა და საბერძნეთში და 3) საქართველოს განვითარებაზე მიგრაციის პოზიტიური ეფექტების ოპტიმიზირება.

ამ შემთხვევაში, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ქართველი მიგრანტების უფლებების დაცვაზე, რომელიც პროექტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს.

პროექტის დასაწყისიდანვე მრავალი ღონისძიება გატარდა იმისათვის, რომ პროექტის ბენეფიციარებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ყოფილიყო, როგორც სამართლებრივი დახმარება/იურიდიული კონსულტაციები, ისე კონსულტაციები სხვადასხვა თემაზე. პროექტის ბენეფიციარ ხუთ რეგიონში, კონკრეტულად კი 50 სოფელში შეიქმნა საკონსულტაციო კუთხეები, სადაც სოფლის კონსულტანტები უზრუნველყოფენ პროექტის ბენეფიციარის მიღებას და მათი საჭიროებიდან გამომდინარე მათთვის შესაბამისი კონსულტაციის მიცემას და/ან გადმომისამართებას სიდა-ს ცენტრალურ ოფისთან ან რეგიონალურ პარტნიორთან.

პროექტის ფარგლებში მოქმედებს სკაიპის სამი ცხელი ხაზი, საქართველო, საბერძნეთსა და თურქეთში (migrant_ge, migrant_tr, migrant_gr), FB-ის დახურული ჯგუფი სოფლის კონსულტანტებისთვის და პროექტის მეილი. პროექტის საიტზე www.migrant.ge შეიქმნილია ასევე ცალკე განყოფილება კანონმდებლობა/ პროცედურების, რომელიც მოიცავს მიგრაციის სფეროსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზას, ასევე კითხვა-პასუხის რეჟიმში განლაგებულ სამართლებრივ ინფორმაციას, რომელიც პრაქტიკიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად აინტერესებთ ქართველ მიგრანტებს.

დღეისათვის, G-PAM პროექტის ფარგლებში გაცემულია 753-მდე კონსულტაცია, რომელთაგან 232 არის დასაქმების თაობაზე, 197 სამართლებრივ საკითხს უკავშირდება, 190 რეინტეგრაციასთან დაკავშირებით, დანარჩენი კი სხვადასხვა თემებს ეხება.

ძირითადი თემები, რაც გაცემული სამართლებრივი კონსულტაციებიდან გამოიკვეთა, არის: საქართველოში უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული, ორმაგი მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული, სოციალური დახმარების და პენსიის დანიშვნა/შეწყვეტა/განახლებასთან დაკავშირებული, დოკუმენტაციის აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაციის თემა, საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქის შემოსვლასთან დაკავშირებული პროცედურები, საბერძნეთსა და თურქეთში ვიზის პროცედურების დარღვევასთან და ბინადრობის ნებართვის საბუთის აღებასთან დაკავშირებული, ქორწინება/განქორწინებასთან დაკავშირებული პროცედურები, ქორწინების საფუძველზე ბინადრობის ნებართვის აღებასთან დაკავშირებული საკითხი, დეპორტაცია/ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებული თემები და სხვა.



მოკლე ისტორიები/ ამონარიდი კონსულტაციებიდან

N1

G-PAM პროექტის წარმომადგენლობას საბერძნეთში მიმართა არალეგალურად მყოფმა საქართველოს მოქალაქემ ქ-ნ, რომელსაც საქრთველოში შვილმა გაუყიდა სახლი და რომელსაც სურვილი ჰქონდა ეს სახლი დაებრუნებინა. მას ასევე ჰქონდა პრობლემა სახლის გაფორმებასთან დაკავშირებით, ისე რომ ამ საქმეში არ ჩარეულიყო მისი ნათესავები საქართველო-ში. ბენეფიციარს აღმოვუჩინეთ დახმარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად სამართლებრივი პროცედურების დაცვით მოვახდინეთ უძრავი ქონების მასზე რეგისტრაცია.

N2

G-PAM პროექტის წარმომადგენლობას დაუკავშირდა საქრთველოს მოქალაქის მეუღლე, რომელმაც შეგვატყობინა, რომ მისი მეუღლე მიემგზავრებოდა ქალაქ ათენიდან საქართველოში და მას უცნობმა პიროვნებამ სთხოვა თან წაეღო ამანათი. როგორც საბერძნეთისა და თურქეთის საზღვარზე აღმოჩნდა, ამანათში იყო ნარკოტიკული საშუალება და შესაბამისად აღნიშნული მოქალაქე დაკავებული იქნა თურქეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ. აღნიშნულ ფაქტზე G-PAM პროექტის საბერძნეთის წარმომადგენლობა დაუკავშირდა პროექტის თურქეთის წარმომადგენლობას. პროექტის თურქეთის წარმომადგენლობა მაშინვე ჩაერთო საქმეში და გაარკვია, რომ პიროვნება გადაადგილდებოდა ყალბი პასპორტით და ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკული ნივთიერებების გადატანაში საზღვარზე. პროექტის თურქეთის წარმომადგენლობამ აღნიშნული შემთხვევა აცნობა საქართველოს საკონსულოს თურქეთში, ქ. სტამბოლში და კონსულთან ერთად მოინახულეს დაკავებული. დაკავებულს გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია და მოძიებულ იქნა მისთვის კვალიფიციური ადვოკატი, ასევე პროექტის წარმოამდგენლობა დაესწრო სასამართლო პროცესს და დაკავებულს გაუწია თარჯიმნობა. შედეგად, დაკავებულს დაკავების ნაცვლად აღმკვეთ ღონისძიებად შეეფარდა ქვეყნიდან გაუსვლელობა საქმის საბოლოო გამოძიებამდე.

N3

G-PAM პროექტის წარმომადგენლობას თურქეთში მიმართა საქართველოს მოქალაქე ქ/ნ. მოქალაქემ განაცხადა, რომ უკვე 7 წელია იმყოფება თურქეთის რესპუბლიკაში არალეგალ ემიგრანტად და გვთხოვა დახმარება გაგვეწია თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხოელთა განყოფილებაში საბუთების მოგვარებაში. ჩვენ მეგზურობა გავუწიეთ უცხოელთა განყოფილებაში, სადაც გადაიხადა სავიზო რეჟიმის დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული ჯარიმა, რათა პრობლემა აღარ შექმნოდა საზღვარზე.

N4

G-PAM პროექტის წარმომადგენლობას თურქეთში მიმართა საქართველოს მოქალაქე ქ/ნ. მოქალაქეს სურდა თურქეთის რესპუბლიკაში ბინადრობის უფლების მიღება. ჩვენ დავეხმარეთ მას საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგებაში და გავუწიეთ მეგზურობა თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხოელთა განყოფილებაში. შედეგად მოქალაქემ მიიღო ბინადრობის ნებართვა. მას ასევე მოვუძებნეთ მისთვის სასურველი ვაკანსია. დავასაქმეთ ოჯახში დამხმარედ, დაველაპარაკეთ მის დამსაქმებელს და ავუხსენით დასაქმებულის უფლებები, გავარკვიეთ დასვენების დღეებთან დაკავშირებული გაუგებრობაში.

N5

G-PAM პროექტის წარმომადგენლობას თურქეთში მიმართა საქართველოს მოქალაქე ქ/ნ. ბენეფიციარი დასაქმებული იყო ოჯახში მოსამსახურედ. როგორც მისი მონაყოლიდან გაირკვა, ოჯახის უფროსი მას შეპირდა სამუშაო ვიზის გაკეთებას, თუმცა განხორციელებას აგვიანებდა. ამ ლოდინში კი ბენეფიციარის სამთვიანი ტურისტული ვიზა ამოიწურა. ქალბატონს არ სურდა დაკისრებოდა ჯარიმა და გვთხოვა გაგვერკვია მართლაც ჰქონდა თუ არა აღებული მის მეპატრონეს მიმართვის ვიზიტის თარიღი და რიგის ნომერი სამუშაო ვიზის დასამზადებლად. ჩვენ წავყევით ქალბატონს შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხოელთა განყოფილებაში, როგორც იქ გავარკვიეთ, ქალბატონის სახელზე ვიზიტის თარიღი აღებული არ იყო. ქალბატონს ასევე პრეტენზიები ჰქონდა ოჯახის მძღოლთან, რომელიც მისი თქმით, უხეშად და უზრდელად ესაუბრებოდა და ცილს წამებდა მას ოჯახის უფროსებთან. ბენეფიციარმა გვითხრა, რომ აღარ სურდა იმ ოჯახში დაბრუნება და

გვთხოვა წავყოლოდით მას პირადი ნივთების წამოსაღებად. ჩვენ ავუხსენით მას, რომ ჩვენ არ გვქონდა ამის უფლება და დავითანხმეთ მიგვემართა საქართველოს გენერალური საკონსულოსათვის სტამბოლში. დავუკავშირდით კონსულს და ავუხსენით მას ქალბატონის მდგომარეობა. ბატონმა კონსულმა გამოგვართვა ბენეფიციარის დამსაქმებელი ოჯახის ტელეფონი და პირადად ესაუბრა ოჯახის უფროსს. როგორც გაირკვა, სტამბოლში ბინადრობის მოწმობის აღებასთან დაკავშირებულ რიგებისა და სირთულეების გამო, ბენეფიციარისათვის ბინადრობის მოწმობას აკეთებდნენ ანტალიის მისამართზე და შესაბამისად, ქალბატონი დარეგისტრირებული იყო ანტალიის უცხოელთა განყოფილებაში. სამუშაო ვიზის აღებასთან დაკავშირებული საქმიანობებიც უკვე დაწყებული ჰქონდათ ადვოკატის საშუალებით. ყოველივეს გარკვევის შემდეგ ბენეფიციარი დაბრუნდა დამსაქმებელთან.

N6

G-PAM პროექტის თურქეთის წარმომადგენლობას ტელეფონით მოგვმართა ქალბატონმა, რომელმაც არ ისურვა გვარის გამხელა. ბენეფიციარმა გვითხრა, რომ მისი ძმისშვილი სამთვიანი ტურისტული ვიზით იმყოფებოდა თურქეთში, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიზის მოქმედების ვადა გაუვიდათ და საქართველოში დაბრუნებისას თურქეთის საბაჟო გამშვებ პუნქტში მოთხოვეს მას სავიზო რეჟიმის დარღვევის გამო ჯარიმის გადახდა. მან არ ისურვა ჯარიმის გადახდა, რის გამოც ჩაურტყეს დეპორტი. ქალბატონი თვითონ უკვე 12 წელია ქორწინებაშია თურქეთის მოქალაქესთან და შესაბამისად თურქეთის მოქალაქეობაც მიღებული აქვს. მას აინტერესებდა, თუ როგორ შეიძლებოდა დეპორტირებული პიროვნების თურქეთის რესპუბლიკაში კვლავ შემოყვანა. დავუკავშირდით საქართველოს გენერალურ საკონსულოს სტამბოლში, სადაც განგვიმარტეს, რომ რადგან ქალბატონი თურქეთის მოქალაქეა, მას შეუძლია ნოტარიუსის მიერ შედგენილი მოწვევა გაუგზავნოს თავის ნათესავს. ნათესავი კი ამ მოწვევით უნდა მივიდეს თურქეთის საკონსულოში, სადაც მას შეავსებინებენ სპეციალურ ფორმას სავიზო განაცხადზე. ამ განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში პიროვნებას შეეძლება კვლავ შემოვიდეს თურქეთში ტურისტული ვიზით, ან მოქალაქე უნდა დაელოდოს დეპორტის გასვლის ვადას და მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ ექნება მას ხელმეორედ ქვეყანაში შესვლის უფლება.

N7

G-PAM პროექტის საქართველოს წარმომადგენლობას, კერძოდ, მარნეულის რაიონ, სოფელ წერეთელში მოგვმართა საბერძნეთიდან დაბრუნებულმა მიგრანტმა, ბ/ნ . ბენეფიციარის პრობლემას წარმოადგენდა მისი მამის სახელზე რეგისტრირებულ ქონებაში (მამა გარდაცვლილია) ხარვეზის არსებობა, რაც არ იძლეოდა პირის იდენტიფიცირების საშუალებას, ამის გამო კი ვერ ხერხდებოდა გარდაცვლილის სახელზე არსებული ქონების მემკვიდრეზე დარეგისტრირება. ბენეფიციარი დარეგისტრირდა ბაზაში და გადმომისამართებულ იქნა სიდა-ს ცენტრალური ოფისის იურისტთან. სიდა-ს ცენტრალური ოფისის წარმომადგელობის მიერ დაიწყო წარმოება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გამოთხოვილ იქნა საბუთები ეროვნული არქივიდან, საჯარო რეესტრიდან და სხვა საჭირო კომპეტენტური ორგანოებიდან, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გაგრძელდა

წარმოება იურიდიული ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით, ვინაიდან პროექტის ბენეფიციარი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა. აღნიშნულ საკითხზე დღესდღეობით განახლებულია წარმოება და მიმდინარეობს სამკვიდროს გახსნის პროცედურები, რათა შემდგომ დაიწყოს განახლდეს წარმოება იურიდიული ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც მოხდება ხარვეზის გამოსწორება და ქონება დარეგისტრირდება ოჯახის უფლებამოსილ პირზე.

N8

G-PAM პროექტის საქართველოს წარმომადგენლობას, კერძოდ, სიდა-ს ცენტრალურ ოფისს სკაიპის ცხელი ხაზის საშუალებით დაუკავშირდა ქ/ნ . ქალბატონს ხელი მოწერილი ჰქონდა თურქეთის მოქალაქესთან ორი წლის განმავლობაში, მაგრამ ხელის მოწერიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგ იგი დაბრუნდა საქართველოში და შესაბამისად არც ყოველ წელს არ მისულა სპეციალურ განყოფილებაში იმის დასაფიქსირებლად (აღნიშნულს მოითხოვს თურქეთის კანონმდებლობა), რომ ნამდვილად იმყოფებოდა თურქეთის ტერიტორიაზე. ბენეფიციარს სურდა განქორწინება ისე, რომ აღარ ჩასულიყო თურქეთში და აინტერესებდა წარმოადგენდა თუ არა განქორწინების ავტომატურ მიზეზს ქორწინებიდან ქვეყნის ოთხ თვეში დატოვება. პროექტის საქართველოს წარმომადგენლობა დაუკავშირდა თურქეთის წარმომადგენლობას იქაური კანონმდებლობის უკეთ გასარკვევად, რის შედეგადაც ბენეფიციარს გაეწია შემდეგი სახის კონსულტაცია, რომ მისი ოთხი თვის შემდეგ საქართველოში დაბრუნება გამოიწვევდა არა ქორწინების გაუქმებას, არამედ ბინადრობის ნებართვის შეწყვეტას, რაც შეეხება განქორწინებას, აუცილებელი იქნებოდა მისი ჩასვლა თურქეთში და იმ პირობებში, რომ მეუღლე წინააღმდეგი იყო მასთან განქორწინებაზე, დაჭირდებოდა ადვოკატის აყვანაც. ბენეფიციარს ასევე გაეწია კონსულტაცია იმის შესახებ, რომ შეეძლო ესარგებლა უფასო ადვოკატის მომსახურებით თურქეთში, სახაზინო ფონდიდან, მაგრამ ესეც დაკავშირებული იყო დიდ რიგებთან, ხოლო თუ გადაწყვეტდა შეეძლო ესარგებლა ფასიანი ადვოკატის მომსახურებით, რომელიც უფრო დააჩქარებდა სამართალწარმოებას.

საკონტაქტო ინფორმაცია

G-PAM პროექტის დირექტორი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 598 261 030, 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, zura@cida.ge, www.migrant.ge

მაია პაქსაშვილი, G-PAM პროექტის იურისტი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 571 258 822 / 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, maia@cida.ge
სკაიპ-სახელი: migrant_ge

ზურაბ წურწუმია, G-PAM პროექტის ასისტენტი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 598 715 915, 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, zura@cida.ge

სამეგრელო
თინათინ დიდიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
ასოციაცია ათინათი, რუსთაველის ქ. 94, ზუგდიდი, 2100
+995 599 515129, ti-ka35@rambler.ru

ნაგვაზაო 598736915
დიდი ჭყონი 599915962
ბანძა 598917343
ჯიხაშკარი 551094803
ანაკლია 599897544
ორსანტია 557903747
ხაბუმე 591810369
ჭალე 599897238
ჯგალი 599897563
ჯვარი 597983348
თეკლათი 595048535
პირველი მაისი 577644021
საჯიჯაო 557202185
ნოსირი 551532222

იმერეთი
ნათია ნამიჭეიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი
ი. გრიშაშვილის მე-4 შესახ. #3, ქუთაისი, 4600
+995 598 797 479, natiaacett@gmail.com

ქვედა საზანო 598691005
როდინაული 595048561
გორა 598664897
დიდი ჯიხაიში 598926620
საჯავახო 557183917
ხრეითი 598395278
ქვაციხე 551334487
ქვიტირი 558380755
ოფშკვითი 595048624
კუხი 599897210
ძევრი 595554148
ალისუბანი 577653465

აჭარა
არჩილ ხახუტაიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
დემოკრატიის ინსტიტუტი, ფარნავაზ მეფის ქ. 144, ბათუმი
+995 577 210 410, A.khakhutaishvili@iod.ge

ჩაისუბანი 599132926
მუხაესტატე 514596688
ცხმორისი 591718941
ხიჭაური 591714395

შიდა ქართლი
მიხეილ ჩიტაძე, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
გორის საინფორმაციო ცენტრი, ჩიტაძის ქ. 3, გორი, 1400
+995 599 113 455, gic@gic.org.ge, mishachitadze@gmail.com

ატენი 599897482
კარალეთი 595048573-599897280
შინდისი 599897316-598113055
ტინისხიდი 599777042
ვარიანი 599897605
ქვახვრელი 599897345
დოესი 599897337
დირბი 595512627
ქვენატკოცა 599897158-595048000
დაბა აგარა 599370676

ქვემო ქართლი
შორენა ხუხუა, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
კეთილი ნების მისია – მისიონერები, სულხან–საბას ქ. 143, ბოლნისი
+995 577 973 24, shorenakhukhua@gmail.com

კასუმლო 599000355
ნორიო 599897283
კუმისი 593197140
მარტყოფი 555502103
გამარჯვება 598215194
წინწყარო 598206017
ასურეთი 599897207
რატევანი 595048701